განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფინანსების საბაკალავრო პროგრამა

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

შეფასების თარიღი - 23 იანვარი 2020 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი - 27 თებერვალი 2020 წელი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	208215509
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფინანსები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფინანსების ბაკალავრი 0412
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ასლანიშვილი, (თსუ/კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათელა გიორგაძე,(წევრი) საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა მიხელიძე (სტუდენტი ექსპერტი), კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (შემდგომში სეუ) ფინანსების საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2010 წლიდან. ბოლო აკრედიტაცია პროგრამამ მიიღო 2015 წელს. ფინანსების საბაკალავრო პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი სასწავლო კურსებისაგან.

ფინანსების საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - **140 კრედიტი;**
- სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - **26 კრედიტი;**
- თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები -**12 კრედიტი;**
- თავისუფალი სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები – **30 კრედიტი;**
- თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები– **32 კრედიტი,**

პროგრამა დასრულებულად ითვლება, როცა სტუდენტი დააგროვებს არანაკლებ 240 ECTS კრედიტს, რაც გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული სფეროს ძირითადი, არჩევითი და თავისუფალი კომპონენტის შესრულებას.

პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა აქვს მიღებული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულსა და დამსაქმებელს.. პროგრამის შინაარსი ეყრდნობა ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს; შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს; სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, სფეროში მომუშავე ექსპერტებთან და პრაქტიკოსებთან ჩატარებულ კვლევის შედეგებს;

პროგრამაში გათვალისწინებულია ნაწილობრივ რეკომენდაცია, რაც წინა აკრედიტაციის პროცესში ექსპერტთა მიერ იყო მოცემული:

- საგნის სილაბუსში მითითებულია შეფასების კრიტერიუმების აღწერა ქულების მიხედვით;
- სასწავლო მასალებში მითითებულია ახალი ნორმატიული დოკუმენტი;
- სასემინარო ჯგუფებში სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისად ირიცხება არაუმეტეს 25 სტუდენტისა;
- პროგრამას დაემატა საქართველოს საგადასახადო სისტემა და დაბეგვრის თავისებურებანი, ფინანსური აუდიტის საფუძვლები, ფინანსური რისკების მენეჯმენტი, კვლევის მეთოდები ბიზნესში;
- არჩევით საგნებს დაემატა შემდეგი სასწავლო კურსები – ქონების შეფასების საფუძვლები, სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრირება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსები და სხვა .

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2 დეკემბრის 2019 წლის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის (ქ–ნი თამარ მახარაშვილი) N 1164 ბრძანების შესაბამისად 2020 წლის 23 იანვარს განხორციელდა აკრედიტაციის ვიზიტი საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში. ვიზიტამდე 1 კვირით ადრე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაზიარებულ/მოწოდებულ იქნა დეტალური მასალა აკრედიტაციაზე წარდგენილი ფინანსების საბაკალავრო პროგრამის თაობაზე. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შეთავაზებით (ცენტრის წარმომადგენელი ქალბატონი ნინო შიოშვილი) 2020 წლის 22 იანვარს 11 საათზე ექსპერტებს ჰქონდათ წინასააკრედიტაციო შეხვედრა (დავით ასლანიშვილი, ნათელა გიორგაძე, ანი მიხელიძე

(მობილური კავშირით)), რათა განეხილათ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ფინანსების საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტაცია. ექსპერტები გაეცნენ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად შედგენილ აკრედიტაციის სახელმძღვანელოს და განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც ვიზიტისას დაისვა უმაღლესი საგანმანთლებლო საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

დაგეგმილი პროგრამის შესასრულებლად ექსპერტთა ჯგუფი მეორე დღეს 23 იანვარს 2020 წელს დილის 10:00 საათიდან განახორციელა ვიზიტი სეუ–ში დღის წესრიგის შესაბამისად. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან, რომლის ერთ-ერთ პროგრამას წარმოადგენს აკრედიტაციაზე წარდგენილი ფინანსების საბაკალავრო პროგრამა (რექტორი, ვიცე-რექტორი სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით და პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი,ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი/მენეჯერი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი), თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში, განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

ვიზიტის დროს დამატებით მოთხოვნილ იქნა და დაზუსტდა რიგი დოკუმენტაცია: საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართული სტუდენტების სია, სამეცნიერო აქტიობის საკითხი, უცხო ენის შესწავლის საკითხი, პროგრამის და რიგი სილაბუსის ყოველკვირეული დატვირთვა (პროგრამა და სილაბუსები), ინფორმაცია სტუდენტთა დასაქმების საკითხებზე, პროგრამების არჩევითობის სტატისტიკა და პროცედურა, სწავლის შედეგების შეფასება.

ვიზიტი დასრულდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ დროს - 19:00 საათზე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით:
  - **პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან,** ვინაიდან სტანდარტის 1.1 და 1,2 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - **მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან,** ვინაიდან სტანდარტის 2.1, 2.5 და 2.6 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისი მოთხოვნებთან, 2.2, და 2.4 კომპონენტები - როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან; ხოლო 2.3 კომპონენტი - როგორც ნაწილობრივ შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან;
  - **მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან,** ვინაიდან სტანდარტის 3.1 კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

- **მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან,** ვინაიდან სტანდარტის 4.1, 4.3 და 4.4 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 4.2 კომპონენტი - როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან,** ვინაიდან სტანდარტის 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა და ადმინისტრაციამ გაატაროს რიგი ღონისძიება პროგრამის მიზნებში გათვალისწინებული ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში ფინანსების საბაკალავრო პროგრამის ჩართვის კუთხით;
- პროგრამის მიზნებსა და ამოცანებში ნათლად გამოჩნდეს საფონდო და კაპიტალის ბაზართან ბმა ქვეკონცენტრაციის მიხედვით.
- ფინანსების საბაკალავრო პროგრამაში გასაწერია საინვესტიციო/ანალიტიკური/საბანკო (არა კომერციული ბანკის კუთხით) მიმართულება;
- რეკომენდირებულია გაძლიერდეს თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და კურსდამთვარებულებთან და უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის განვითარების პროცესში მათი უფრო აქტიური ჩართულობა.
- რეკომენდირებულია პროგრამის შემუშვებისა და განვითარების პროცესში მეტად იყოს უზრუნველყოფილი დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა;
- ფინანსების (კაპიტალის ბაზარი, ინვესტიციები, ფინანსური ანალიტიკა) ქვეკონცენტრაციის მიმართულებას დაემატოს უშუალოდ ამ საგნებზე პასუხისმგებელი აფილირებული პროფესორი;
- მოხდეს საგნების ყოველკვირეული დატვირთვის გავლა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ერთობლივი ჩართულობით,რომ აცილებულ იქნას რიგი საკითხის რამოდენიმეჯერ გამეორება;
- საერთაშორისო აკადემიური თუ გაცვლითი პროგრამებში უნივერსიტეტის მიერ დადებული ხელშეკრულებების შესასრულებლად და ამ ფორმატის გასაძლიერებლად აუცილებელია უცხო ენის კვალიფიციურ დონეზე შესწავლა, რომ სტუდენტებმა, აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს სწავლა/ლექცია/სემინარის უცხო ენაზე წარმართვა და საერთაშორისო დონეზე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განხორციელება.

- პროგრამის სამეცნიერო პოტენციალი გასაფართოებელია ქვეყნის მასშტაბით. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტიობა უნდა მოიცავდეს საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციებსა და იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში სტატია/კვლევის გამოქვეყნებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიაში გაიწეროს პროგრამის სწავლის შედეგების სტუდენტის მიერ მიღწევის დადგენის სამიზნე ნიშნულები;
- მიზანშეწონილია უცხო ენის სტანდარტის შემოღება, რაც გაზრდის სტუდენტის მზაობას მონაწილეობა მიიღოს ინტერნაციონალიზაციის პროექტებში (ერაზმუსი და სხვა);
- სასურველია ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლება და მოწვეული პროფესორიების (მათ შორის პარტნიორი საერთაშორისო უნივერსიტეტებიდან) მოწვევა;
- ტრენინგების / სხვადასხვა უნარ-ჩვევების ასამაღლებელი ღონისძიებების ინტენსიური დაგეგმვა და განხორციელება;
- დამსაქმებლების მეტი ჩართულობა პროგრამის შემუშვების პროცესებში, რაც მეტწილასდ გამოავლენს განსავითარებელ უნარ/ჩვევებს და ცოდნას

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- საუკეთესო პრაქტიკად უნდა აღინიშნოს სრულიად უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აპრობირება შშმ პირების საჭიროებებთან. უახლესი ტექნოლოგიური შესაძლებლობები.

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სეუ–ს ფინანსების საბაკალავრო პროგრამის კონცეფცია შესაბამისობაშია დარგში არსებულ მოთხოვნებთან და ის ეყრდნობა თანამედროვე მოთხოვნებს და განვითარების ტენდენციებს. მასში ასახულია ბაზრის კვლევის მოთხოვნები და გათვალისწინებულია საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოცდილება. პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომლის თანახმადაც უნივერისტეტი უზრუნველყოფს ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებას. ფინანსების პროგრამის ანალიზის შედეგად პროგრამა პირობითად სამ ქვეკონცენტრაციას ავითარებს–აღრიცხვა/აუდიტი, კომერციული – საბანკო და საინვესტიციო – საფინანსო მიმართულება. ამ მხრივ პროგრამის მიზანი, რომ უზრუნველყოს სტუდენტები ფართო თეორიული ცოდნით ფინანსების სფეროსა და მის ძირითად მიმართულებებში ნათლად არის ჩამოყალიბებული და განვითარებული. ამასთანავე, პროგრამის აღწერაში არ არის გამოყოფილი (გაშლილი) საფონდო და კაპიტალის ბაზარზე გადადგმული ნაბიჯები, თუმცა მოცემული სასწავლო კურსი/ები და საგნები ამის საჭიროებას მოითხოვს; პროგრამის მიზანია სტუდენტებს შესძინოს პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების საფუძველზე ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის, დარგობრივი და სხვა სფეროს წარმომადგენლებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი და კორპორატიული კულტურის ჩამოყალიბების შესაძლებლობა; უნივერსიტეტმა პროგრამის დახვეწისა და სრულფასოვანი, შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროგრამის დანერგვის მიზნით, კვლევა აუთსორსაც მიმართა. კვლევის

საფუძველზე დაფიქსირებული დამსაქმებელთა და სწავლის მსურველთა მოთხოვნა ასახულია პროგრამაში. ყურადსაღებია, რომ ბაზრის კვლევის შედეგად პროგრამას დაემატა რიგი საგანი/დისციპლინა, რომელიც ფინანსების პროგრამის მიმზიდველობასა და მის სრულყოფისკენარისმიმართული პროგრამის მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე ყველა დაინტერესებული მხარისთვის. პროგრამის მიზნებში გათვალისწინებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, დადებულია რიგი ხელშეკრულება გაცვლის პროგრამებსა და სამეცნიერო აქტიობის კუთხით, თუმცა ამ ეტაპზე უნივერსიტეტის სხვა რგოლებთან შედარებით ფინანსების პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მხრიდან მასში ჩართულობა არ ვლინდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ ფინანსების პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან; ○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ფინანსების საბაკალავრო პროგრამა; ○ შრომის ბაზრის კვლევა, გამოკითხვის შედეგები; ○ ფინანსების საბაკალავრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია; ○ საქართველოს ეროვნული უნიევრსიტეტი სეუ - ს ვებგვერდი (seu.edu.ge);
რეკომენდაციები: ○ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა და ადმინისტრაციამ გაატაროს რიგი ღონისძიება პროგრამის მიზნებში გათვალისწინებული ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში ფინანსების საბაკალავრო პროგრამის ჩართვის კუთხით; ○ პროგრამის მიზნებსა და ამოცანებში ნათლად გამოჩნდეს საფონდო და კაპიტალის ბაზართან ბმა ქვეკონცენტრაციის მიხედვით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სეუ–ს ფინანსების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც გამოხატულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე. ამასთანავე, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და კურსდამთავრებულებს აძლევს განათლების შემდეგ საფეხურზე მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის სწავლის შედეგები არის რეალისტური, მიღწევადი, გაზომვადი და აღწერს იმ ძირითად კომპეტენციებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულების შემდგომ.

პროგრამის შემუშავებაში და სწავლის შედეგების განსაზღვრაში მონაწილეობა აქვს მიღებული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს,რაც მათთან ინტერვიუს დროს დადასტურდა. ჩართულობის ფორმა იყო სხვადასხვაგვარი – გამოკითხვით ანკეტა-კითხვარების მეშვეობით და ფოკუს-ჯგუფების ორგანიზებით.

ამასთანავე, დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს რიგ შემთხვევაში დაფიქსირდა მათი ნაკლებად ინფორმირებულობა საკუთრივ პროგრამის ძირითადი ელემენტებისა და სტრუქტურის შესახებ.

პროგრამის ავტორის (ხელმძღვანელის) მიერ განხორციელდა რაოდენობრივი მონაცემებისა და ინტერვიუების თვისებივი ანალიზის გამოყენება სწავლის შედეგების შემუშავების დროს, რაც საფუძვლად დაედო პროგრამის შედეგების საბოლოო ვერსიის გაწერასა და დაინტერესებული მხარეებისთვის მათ გაცნობას. პროგრამის სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში აქტიური ჩართულობა ფიქსირდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან.

ამასთანავე, სწავლის შედეგებს შორის (8 შედეგი) აღნიშნულია, რომ სტუდენტი პროგრამის გავლისას „განასხვავებს კომპანიის ფინანსური ღირებულების შეფასების მეთოდებს, კომპანიის ფასიანი ქაღალდების ფასის ზრდის ტენდენციებს. იყენებს ფინანსური ბაზრების ანალიზს, რისკების მართვას, კომპანიის ფინანსური რესურსების სწორად წარმართვას“ – ყოველივე ეს კი კაპიტალის ბაზარზე ფოკუსირების და მისი მნიშვნელობის ახსნის გარეშე ნაკლებსავარაუდოა.

აღნიშნული შედეგის მკაფიო ჩამოყალიბება/გაშლის და ფოკუსირების აუცილებლობა თვალნათლივ გამოჩნდა დამსაქმებლებთან ინტერვიუების დროს. არსებული ვითარებით უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების დასაქმება ხორციელდება კომერციული–საბანკო და ბუღალტერია – აუდიტორული მიმართულებით. ამ მხრივ ფინანსების მიმართულება–ინვესტიცია, ანალიტიკა, კაპიტალის ბაზარი ნაკლებად ვლინდება.

მიგვაჩნია,რომ ფინანსების საბაკალავრო პროგრამის სრულფასოვნად წარმართვისთვის მისი ცენტრალური რგოლის–საინვესტიციო/ანალიტიკური/საბანკო (არა კომერციული ბანკის კუთხით) მიმართულების მკაფიო მომზადებისა და დასაქმების შემდგომიპერსპექტივის მიმართულების გაძლიერების გარეშე არ იქნება სრულყოფილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფინანსების საბაკალავრო პროგრამა ; ○ ფინანსების საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი ფინანსების სფეროს გათვალისწინებით ; ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუები – აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები; ○ ფინანსების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
რეკომენდაციები: • ფინანსების საბაკალავრო პროგრამაში გასაწერია საინვესტიციო/ანალიტიკური/საბანკო (არა კომერციული ბანკის კუთხით) მიმართულება; • რეკომენდირებულია გაძლიერდეს თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და კურსდამთვარებულებთან და უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის განვითარების პროცესში მათი უფრო აქტიური ჩართულობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიაში გაიწეროს პროგრამის სწავლის შედეგების სტუდენტის მიერ მიღწევის დადგენის სამიზნე ნიშნულები
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფინანსების საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, განთვასებულია ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის. უნივერსიტეტი ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოპოვების მსურველი პირების პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ატარებს გასაუბრებას და უზრუნველყოფს აღნიშნული გასაუბრების ვიდეოჩანაწერის განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობას ინტერვიუების შედეგად პროგრამის განმახორციელებელი მოწვეული და აკადემიური პერსონალი ადასტურებს პროგრამაზე საჭირო ცდონისა და უნარების მქონე სტუდენტების არსებობას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სამართლიანია, დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: http://www.seu.edu.ge/

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფინანსების საბაკალავრო პროგრამა ; ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ; ○ ვებ გვერდი (seu.edu.ge).
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მიზანშეწონილია უცხო ენის სტანდარტის შემოღება, რაც გაზრდის სტუდენტის მზაობას მონაწილეობა მიიღოს ინტერნაციონალიზაციის პროექტებში (ერაზმუსი და სხვა)
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფინანსების საბაკალავრო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამა შედგენილია ფინანსების საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით და მოწონებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. აღნიშნული პროგრამა განიხილა აკადემიურმა საბჭომ სხდომაზე, რომელიც დამტკიცდა რექტორის ბრძანებით. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (შემდგომში სეუ) ფინანსების საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2010 წლიდან. ბოლო აკრედიტაცია პროგრამამ მიიღო 2015 წელს. ფინანსების საბაკალავრო პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი სასწავლო კურსებისაგან. ფინანსების საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად: • სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - **140 კრედიტი;** • სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - **26 კრედიტი;** • თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები -**12 კრედიტი;** • თავისუფალი სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები – **30 კრედიტი;** • თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები– **32 კრედიტი,** პროგრამა დასრულებულად ითვლება, როცა სტუდენტი დააგროვებს არანაკლებ 240 ECTS კრედიტს, რაც გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული სფეროს ძირითადი, არჩევითი და თავისუფალი კომპონენტის შესრულებას. პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა აქვს მიღებული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულსა და დამსაქმებელს. პროგრამის შინაარსი ეყრდნობა ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს; შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს; სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, სფეროში მომუშავე ექსპერტებთან და პრაქტიკოსებთან ჩატარებულ კვლევის შედეგებს; პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრობა ლოგიკურია და სათანადოდაა განსაზღვრული თითოეულ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები. ინტერვიუების საფუძვლეზე დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობა. როგორც უკვე აღინიშნა მათ მიერ სახელდება კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მოხდა პროგრამის განვითარების პროცესში. თუმცა, კვლავ სასურველია მეტად იქნეს უზრუნველყოფილი აღნიშნულ პროცესში კურსდამთვრებუელბისა და დამსაქმებლების ჩართულობა, მათი მხრიდან მეტი ჩართულობა და მათი რეკომენდაციების

გათვალისწინება ხელს შეუწყობდა პროგრამის მეტად განვითარებასა და პროგრამას ბაზრის მოთხოვნებზე მეტად მორგებულს გახდიდა. პროგრამის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და სასწავლო გეგმის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: https://www.seu.edu.ge/ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებსა და პროგრამაში აღნიშნულ მონაცემებს შორის იყო ტექნიკური შეუსაბამობები (თუმცა, აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტის დასრულებამდე მოხდა ტექნიკური ხარვეზების გასწორება და დოკუმენტების გადაცემა ჯგუფისთვის).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ - ს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა , შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი; ○ ფინანსების საბაკალავრო პროგრამა ; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ფინანსების საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები ; ○ ფინანსების საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის რუკა ; ○ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ - ს ვებგვერდი ; ○ სტუდენტების , კურსდამთავრებულების , დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია პროგრამის შემუშვებისა და განვითარების პროცესში მეტად იყოს უზრუნველყოფილი დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლება და მოწვეული პროფესორიების (მათ შორის პარტნიორი საერთაშორისო უნივერსიტეტებიდან) მოწვევა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფინანსების საბაკალავრო პროგრამის სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და ამდენად, მათი ერთიანობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება როგორც კურსის სწავლის შედეგებს, ასევე, პროგრამის სწავლის შედეგებს.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგის, მიმართულების აქტუალურ მიღწევებზე, რაც თავისთავად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა, რომელიც განსაზღვრავს თითოეული სასწავლო კურსით მისაღწევ პროგრამის სწავლის შედეგს (სასწავლო კურსის მონაწილეობას კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევაში).

ფინანსების საბაკალავრო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების შინაარსი ეყრდნობა თანამედროვე ქართულ და უცხოენოვან ლიტერატურას, სადაც მოცემულია თანამეროვე ბიზნეს გარემოში ფინანსების წინაშე არსებული მოთხოვნები და გამოწვევები. იმ სასწავლო კურსების განხორციელებისას, სადაც არ მოიპოვება ქართველი ავტორების ან ქართულად ნათარგმნი უცხოური წიგნები, სასწავლო კურსის ხელმძღვანელები ამზადებენ ქართულენოვან რიდერებს, თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით და აწვდიან სტუდენტებს.

ამასთანავე, მეტ წილად ფინანსური კონცენტრაციის (თუმცა არა მხოლოდ) რიგ საგნებში ყოველკვირეული დატვირთვა არაერთ შემთხვევაში იმეორებს მომიჯნავე საგნის კვირის დატვირთვას. ეს საგნებია – ინვესტიციების შეფასება, აქციების და ობლიგაციების შეფასება,შესავალი კორპორაციულ ფინანსებში,ფინანსების საფუძვლები, ფინანსური მენეჯმენტი, ფინანსური უწყისების ანალიზი, ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები, ფინანსური პროგნოზირება. ჩვენი აზრით, ეს აკნინებს პროგრამის მიმზიდველობას და ამცირებს სტუდენტთა ინტერესს ფინანსების საბაკალავრო პროგრამის მიმართ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფინანსების საბაკალავრო პროგრამა ;
- თვითშეფასების ანგარიში
- ფინანსების საბაკალვრო პროგრამის სილაბუსები ;
- ფინანსების საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის რუკა ;
- სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები ;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ;
- შეფასებისა და აკადემიური პერსონალის თვითშეფასების შედეგები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- ფინანსების (კაპიტალის ბაზარი, ინვესტიციები, ფინანსური ანალიტიკა) ქვეკონცენტრაციის მიმართულებას დაემატოს უშუალოდ ამ საგნებზე პასუხისმგებელი აფილირებული პროფესორი;
- მოხდეს საგნების ყოველკვირეული დატვირთვის გავლა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ერთობლივი ჩართულობით,რომ აცილებულ იქნას რიგი საკითხის რამოდენიმეჯერ გამეორება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფინანსების საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ფინანსების პროგრამის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებულ სამეცნიერო აქტივობაში – სამეცნიერო ჟურნალი, კონფერენცია, მოხსენება. თუმცა, დაბალია სამეცნიერო აქტივობა იმპაქტ ფაქტორის მქონე გამოცემებსა და კონფერენციებში როგორც ადგილობრივ,ასევე საერთაშორისო დონეზე. სტუდენტის კვლევითი კომპეტენციების განვითარებას ემსახურება საბაკალავრო ნაშრომი მომზადება, რომელიც მცირე სასწავლო-კვლევითი კომპონენტის სახითაა წარმოდგენილი და საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მეთვალყურეობით ხორციელდება. ინტერნაციონალიზაციის კუთხით მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტს ბილატერალური შეთანხმებების ფარგლებში აქვს გაფორმეული ხელშეკრულება სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებთან. თუმცა, მცირეა საერთაშორისო კვლევა, ვიზიტი თუ აკადემიური პერსონალის/სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში ჩართულობა. გასაუბრების დროს ამის ძირითად მიზეზად სხვადასხვა ფაქტორი იყო დაახელებული –უცხო ენის არასათანადო დონეზე ფლობა აკადემიური პერსონალის/სტუდენტთა მიერ (ლექციის წაკითხვა თუ კვლევა), არაინფორმირებულობა, პირადი (ოჯახური) საკითხები. იმავდროულად, მომიჯნავე პროგრამებში ვიზიტის ფარგლებშიჩატარებული გამოკითხვით და დოკუმენტაციის გაცნობით 16 (თექვსმეტი) სტუდენტმა ისარგებლა ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა პროგრამით. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე არცერთი მათგანი არ იყო ფინანსების პროგრამის წარმომადგენელი.

პროგრამით გათვალისწინებულია სავალდებულო კომპონენტი სასწავლო პრაქტიკა. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან. დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ პრაქტიკის პერიოდში სტუდენტები აქტიურად არიანჩართულიდამსაქმებლის საქმიანობაში. წარჩინებული სტუდენტები საქმდებიან სტაჟირების ობიექტებზე. რიგი დამსაქმებელისტაჟრებისას ახდენს სტუდენტთა წახალისებას ანაზღაურების სახით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სტატისტიკური მონაცემები ფინანსების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სამეცნიერო - კვლევით პროექტებში და კონფერენციებში; ○ პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია ; ○ ხელშეკრულებები / მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან ; ○ უსდ - ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ○ ინტერვიუების შედეგები ○ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ანგარიში ინტერნაციონალიზაციის შესახებ
რეკომენდაციები: • საერთაშორისო აკადემიური თუ გაცვლითი პროგრამებში უნივერსიტეტის მიერ დადებული ხელშეკრულებების შესასრულებლად და ამ ფორმატის გასაძლიერებლად აუცილებელია უცხო ენის კვალიფიციურ დონეზე შესწავლა, რომ სტუდენტებმა, აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს სწავლა/ლექცია/სემინარის უცხო ენაზე წარმართვა და საერთაშორისო დონეზე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განხორციელება. • პროგრამის სამეცნიერო პოტენციალი გასაფართოებელია ქვეყნის მასშტაბით. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტიობა უნდა მოიცავდეს საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციებსა და იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში სტატია/კვლევის გამოქვეყნებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლება და პროფესორების (მათ შორის პარტნიორი საერთაშორისო უნივერსიტეტებიდან) მოწვევა. ▪ უცხო ენის მაღალ დონეზე შესწავლისა და ლექცია/სემინარების უცხო ენაზე ჩატარების ხელშეწყობის მიზნით დაინერგოს დაფინანსების და ხელშეწყობის რიგი ღონისძიებები (გრანტი, დაფინანსება, წახალისება)
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფინანსების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ყურადღებით იქნა შესწავლილი თუ როგორ უზრუნველყოფს საბაკალავრო პროგრამა სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისობას სწავლების საფეხურთან, შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. ინტერვიუებისა და წარდგენილი დოკუმენტების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ხდება სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდების გამოყენება: ლექცია; სემინარი; ჯგუფში მუშაობა; პრაქტიკული მუშაობა; ელექტრონული რესურსით სწავლება; ელექტრონული სწავლება; ინტერაქტიური მეთოდი, ინდუქცია; დედუქცია, ანალიზი; სინთეზი. სწავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, სიტუაციური მაგალითები/ამოცანები და სხვ.). პროგრამაში ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგები და სწავლის მეთოდები. უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული მეთოდის ან მეთოდთა კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია შესაბამისი სასწავლო კომპონენტით დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე, რაც დეტალურადაა აღწერილი სასწავლო კურსების სილაბუსებში. უნივერსიტეტი ახორციელებს სწავლების მეთოდების ადაპტირებას ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით გათვალისწინებულ შემთხვევებში (მ.შ.მსჯავრდებულ პირებზე), რაც ასახულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებში.

სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფინანსების საბაკალავრო პროგრამა ; ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ფინანსების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები ; ○ სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი ; ○ ფინანსების სტუდენტების გამოკითხვის შედეგები ; • ინტერვიუები პროგრამაზე პასუხისმგებელ პირებთან • ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა • სწავლებისა და სწავლის მეთოდებით სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების რუკა • უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის („სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი“) მიხედვით. შეფასების პროცედურა გამჭირვალეა სტუდენტებისათვის და კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ განთავსებულია უნივესიტეტის ვებ-გვერდზე.

შეფასების სტრუქტურა მრავალკომპონენტიანია და მოიცავს მიმდინარე, შუალედურ და დასკვნით შეფასებას. სტუდენტი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, საიდანაც 70 ქულა ეთმობა მიმდინარე და შუალედურ შეფასებას, ხოლო 30 ქულა დასკვნით გამოცდას. როგორც შუალედური, ასევე ფინალური გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 30%-ს. სეუ-ში ფუნქციონირებს ელექტრონული საგამოცდო სისტემა. სტუდენტებს ეძლევათ თავისუფლება თავად აირჩიონ მათთვის სასურველი დრო როგორც შუალედური, ასევე ფინალური გამოცდის ჩასაბარებლად. შუალედური გამოცდის ჩაბარება შეუძლიათ ერთი კვირის განმავლობაში, ხოლო ფინალური გამოცდის - ორი კვირის. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია გამოცდის ჩაბარება იმ რეგიონიდან (ქუთაისი, ბათუმი და ა.შ.) სადაც უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრია. შეფასების თანასწორი, სამართლიანი და გამჭვირვალე მიდგომების უზრუნველსაყოფად ლექტორთან მიდის დაშიფრული ნაშრომი და იგი ვერ ხედავს საგამოცდო ნაშრომის ავტორის სახელსა და გვარს. ლექტორებს აქვთ შესაძლებლობა საგამოცდო ნაშრომს თან დაურთონ კომენტარები ელექტრონულ პორტალში. შესაბამისად, სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ უკუკავშირი სწავლის შედეგებზე. უკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებული შეფასება. გასაუბრების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი ინფორმირებულები არიან ამ პროცედურის შესახებ და ერთ-ერთ მათგანს გაუსაჩივრებია კიდეც მიღებული შეფასება, რაზეც ადეკვატური და სამართლიანი უკუკავშირი მიიღო. შეფასების სისტემის თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამა და სილაბუსები; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ვებ-გვერდი; ○ გასაუბრების შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია როგორც სტუდენტური პორტალის (seu.ini.ge) მეშვეობით, აგრეთვე უნივერსიტეტის ვებ-გვერდის, ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და ლექტორებთან საკონსულტაციო შეხვედრების გზით. სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირის ინდივიდუალურ დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. გასაუბრების დროს საკონსულტაციო საათებთან დაკავშირებით სტუდენტებმა გამოთქვეს კმაყოფილება. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას. სტუდენტების მხრიდან ჩართულობის დონე დაბალია როგორც გაცვლით პროგრამებში, ასევე კონფერენციებში მონაწილეობის მიღების კუთხით. ბოლო ორი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთმა სტუდენტმა მიიღო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა. ადმინისტრაციის თქმით, გაცვლით პროგრამებზე მოთხოვნა არ აქვთ, ვინაიდან სტუდენტები სათანადო დონეზე ვერ ფლობენ უცხო ენას. უნივერსიტეტში არსებული პროექტებისა და მობილობის შესაძლებლობების შესახებ სტუდენტები იღებენ ინფორმაციებს სხვადასხვა გზების საშუალებით, რაც გასაუბრების დროს დაადასტურეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ○ გასაუბრების შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა ფინანსების განხორციელებაში ჩართულია სულ 60 აკადემიური/მოწვეული პერსონალი. მათ შორის 30 აკადემიური და 30 მოწვეული ლექტორი. წარმოდგენილი რეზიუმეების საფუძველზე, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია და გამოცდილება პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებზე გასასვლელად. თვითშეფასებაში წარმოდგენილი 2018 წლის მონაცემებით პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 60/104. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის არის შემდეგი თანაფარდობა 30/30. სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან 130 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება პროგრამის შემუშავებისთვის და განხორციელებისთვის. ინტერვიუს საფუძველზე, აღსანიშნავია რომ პროგრამის ხელმძღვანელი მრავალმხრივ ჩართულია პროგრამის შემუშავებაში, მონაწილეობას იღებს პროგრამაში სტუდენტების ჩართულობის ყველა ეტაპზე, თუმცა

აღსანიშნავია, რომ ხელმძღვანელის ჩართულობის და ყველა სხვა თანაბარი პორობების შექმნის, მიუხედავად ჯერ-ჯერობით არცერთი სტუდენტს არ უსარგებლია გაცვლითი პროგრამით. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შემდეგ გაირკვა, რომ ეს გამოწვეულია პირველ რიგში სტუდენტების მხრიდან პასიურობი, თუმცა ასევე აღინიშნა რომ ერთ-ერთი მიზეზი პროგრამის ამ კუთხით ნელა ზრდის, არის ენის ბარიერი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტებისთვის ნაწილი ინფორმაციის მოწოდება მოხდა ადგილზე, ვიზიტის დროს. მაგალითად, პერსონალის რეზიუმეები სრულად არ იყო წარმოდგენილი და ვიზიტის დროს მოხდა მათი გაცნობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები ; ○ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ; ○ აკადემიური / მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარ იცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით ; ○ პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა ; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სეუ რეგულარულად აწარმოებს პერსონალის შეფასებას და შედეგების ანალიზს. პროფესორების/ლექტორების შეფასების ანგარიში მოიცავს პერსონალის პროცედურულ და შინაარსობრივი მახასიათებლების შეფასებას, სტუდენტთა მოლოდინის შეფასებას. პროგრამაში ჩართული აკადემიური / მოწვეული პერსონალს აფასებს ვიცე-რექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. მათი შეფასება ხდება ასევე კომპეტენციის მიხედვით სტუდენტების მიერ, რომელიც ატარებს კონფიდენციალურ ხასიათს და შედეგები საჯაროვდება.პროგრამაში ჩართული აკადემიური / მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზთან დაკავშირებით, აღსანიშნავია რომ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის კვლევის მიხედვით, საშუალო მაჩვენებული არის 3,2222. ასევე საერთაშორისო კონფერენციებზე აქტივობის ოდენობა და უცხოურ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების მაჩვენებელი ჩამოუვარდება ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობებს და იგივე ითქმის კონფერენციებზეც.პერსონალის კვლევითი საქმიანობის წასახალისებლად შემოღებულია

შიდა საგრანტო სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს პერსონალს მიიღოს დაფინანსება სხვადასხვა სამეცნიერო კვლევითი პროგრამისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები ; ○ პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები ; ○ საერთაშორისო პროექტებში , კონფერენციებში , კვლ ევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი . ○ საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის შედეგები ; ○ საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის ფარგლებში გამოცემული ლიტერატურა ; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი ; ○ აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასები სქემა . ○ პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები ; ○ საერთაშორისო პროექტებში , კონფერენციებში , კვლ ევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ტრენინგების / სხვადასხვა უნარ-ჩვევების ასამაღლებელი ღონისძიებების ინტენსიური დაგეგმვა და განხორციელება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფილია უახლესი ინფრასტრუქტურით და უახლესი ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას ნათლად ჩანს, რომ ინფრასტრუქრურა და განახლებული ტექნოლოგიები არამარტო აღნიშნული პროგრამის, არამედ უნივერსიტეტის ძლიერი მხარეა. შენობა მოიცავს სტუდენტებისთვის განკუთვნილ თავისუფალ სივრცებს, სადაც განთავსებულია ხმის ჩამხშობი მაგიდა - სკამები, აქ შესაძლებელია მეცადინეობა/კითხვა ისე, რომ გარშემო ხმაურმა გავლენა არ იქონიოს. ასევე მოიცავს შოურუმებს, საკონფერეციო დიდ და მცირე დარბაზებს, სხვადასხვა ფორმატის აუდიტორიებს. მოწესრიგებულ, სუფთა სველ წერტილებს. ასევე აუცილებელია აღინიშნოს რომ სრულიად შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვისაც. ყველა შესასვლელ/გამოსასვლელი აღჭურვილია პანდუსებით. ლიფტები არის ფართო და მაღალჭერიანი. დათვალიერების დროს ვნახეთ ეტლები, რომლითაც სარგებლობა შეეძლებათ უნივერსიტეტის შშმ სტუდენტებს და ამ სერვისს მათ უნივერსიტეტი სთავაზობს უსასყიდლოდ. აღსანიშნავია რომ აუდიტორიები აღჭურვილია უახლესი ტექნიკით და ინვენტარით. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან ყველა საჭირო ტექნლოგიის გამოყენების წესის შესახებ და ყველა აღნიშნული ტექნოლოგია ხელმისაწვდომია მათთვის. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის უნიკალური არქიტექტურა მოიცავს საჩოგბურთო კორტებს, საცურაო აუზს, საფეხბურთო მოედანს და ა.შ. ბიბლიოთეკის დათვალიერების შედეგად, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ასევე სრულიად უნივერსიტეტის ძლიერი მხარეა. პროგრამის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდურ, ასევე ელექტრონულ ვერსიებად ონლაინ რეჟიმში. სტუდენტს შეუძლია ჩამოტვირთოს, შეინახოს და ისარგებლოს ელ. ფორმატის წიგნებით. აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია წვდომა ისეთ სამეცნიერო ბაზებთან, როგორიცაა:

- Cambridge Journals Online
- e-Duke Journals Scholarly Collection
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books
- IMechE Journals
- Royal Society Journals Collection
- Openedition Journals
- Scopus
- Science Direct
- ELSEVIER

ბაზები მოიცავს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებს, სხვადასხვა დარგების განვითარების ტექნოლოგიებს, ლიტერატურას, სტატიებს და სამეცნიერო კვლევებს;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება/ტური.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

საუკეთესო პრაქტიკად უნდა აღინიშნოს სრულიად უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აპრობირება შშმ პირების საჭიროებებთან. უახლესი ტექნოლოგიური შესაძლებლობები.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ ფინანსების საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება პროგრამის ბიუჯეტით, რომელიც ფორმირდება სტუდენტების სასწავლო კრედიტების საფასურით. აღსანიშნავია რამდენიმე ფაქტი: 1. პროგრამის ბიუჯეტში აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის გამოყოფილი თანხები თანაბრია და უჩვეულოდ მცირეა ყოველ წელს. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ პერსონალი არ არის საკმარისად აქტიური სამეცნიერო კვლევითი განვითარების კუთხით. 2. კვლევითი ხარჯები კლების ტენდენციითაა წარმოდგენილი. 3. თანაბარია ასევე ინტერნაციონალიზაციაზე დახარჯული თანხების ოდენობაც. 4. მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ სტუდენტთა რაოდენობა ხასიათდება კლების ტენდენციით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უსდ - ის ბიუჯეტი ; ○ პროგრამის / ფაკულტეტის / სკოლის ბიუჯეტი
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. უნივერსიტეტის მხრიდან პროგრამის ბიუჯეტში აკადემიური / მოწვეული პერსონალის განვითარების და სამეცნიერო კვლევითი მხარდაჭერის დაფინანსების გაზრდა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვას. რაც გულისხმობს კითხვარების შედგენას, ლექცია/სემინარების პერიოდულ მონიტორინგს. ინტერვიუს დროს როგორც გაირკვა მსგავსი მონიტორინგი ტარდება ხშირად და ატარებს შერჩევით ხასიათს. ასევე, ხდება სტუდენტების გამოკითხვა, საშუალოდ, თვეში ერთხელ, ელექტრონული ფორმით, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ დააფიქსირონ თავიანთი აზრი ან მიაწოდონ იდეა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ერთ-ერთი ასეთი წარმატებული კოლაბორაციის შედეგია საგამოცდო სისტემა, რომელიც საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტმა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით შექმნა. საგამოცდო სისტემა დიდი პოპულარობით სარგებლობს სტუდენტებშიც და აკადემიურ /მოწვეულ პერსონალშიც, ინფორმაციულ ბაზებთან / ტესტებთან /კითხვარებთან მარტივი მისაწვდომობის გამო.
ასევე, პროგრამის შეფასება ხდება კურსდამთავრებულთა მიერ. ამ შეფასებას აქვს საკონსულტაციო სახე, და როგორც ინტერვიუს დროს კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, ისინი კმაყოფილნი არიან პროგრამისგან მიღებული ცოდნით და დასაქმების მხრივაც შრომის ბაზარზე თავს კონკურენტუნარიანად მიიჩნევენ. თავის მხრივ, პროგრამას აფასებენ დამსაქმებლებიც. ძირითადი სფერო, რომელშიც დასაქმდნენ კუსდამთავრებული სტუდენტები არის აუდიტი. ასევე, პროგრამაში ჩართული დამსაქმებლები არიან ძირითადად აუდიტის / საბანკო-საფინანსო / საბუღალტრო სფეროს წარმომადგენლები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დამსაქმებლებს შეუძლიათ პროგრამაში ჩართონ თავიანთი ინიციატივები და საჭიროებები. ინტერვიუზე გამოიყო ასეთი ორი საკითხი :
ინგლისური /რუსული ენების ცოდნის დომის ამაღლება
ექსელის ცოდნის ამაღლება/ განვითარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. დამსაქმებლების მეტი ჩართულობა პროგრამის შემუშვების პროცესებში, რაც მეტწილასდ გამოავლენს განსავითარებელ უნარ/ჩვევებს და ცოდნას

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტი ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმის სახით იყენებს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნებს და წარმოადგენს მათში მოცემული რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების ჩამონათვალს. ადმინისტრაციასთან გასაუბრებების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება და პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამასხურმა ვიზიტის დროს წარმოადგინა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ფინანსური საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასებაც მოწვეული სპეციალისტის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან; ○ პროგრამის გარე შეფასების დოკუმენტი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში პროგრამა ფინანსების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხდება აკადემიური / მოწვეული პერსონალის ჩართულობით. ასევე სტუდენტების, კურსდამთავრებული სტუდენტების და დამსაქმებლების მიერ განხორციელებული შეფასებების ანალიზით. პროგრამის განხორციელების დროს გათვალისწინებულია სტუდენტების, დამსაქმებლების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასებები და მათზე დაყრდნობით ხდება პროგრამის გაუმჯობესება. როგორც ვიცით, ერთ-ერთი ასეთი წარმატებული ინიციატია არის საგამოცდო სისტემა. სტუდენტთა შეფასების ანალიზის საფუძველზე შეიქმნა საკონსულტაციო დრო, რომელსაც სტუდენტები წარმატებით იყენებენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენება ; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფინანსების საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38 (ოცდათვრამეტი) გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

დავითასლანიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნათელა გიორგაძე

ანა მიხელაძე